საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030131923441920

№ 01-203/ო **18 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის, ტექნიკური უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის, ტექნიკური უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე

„დანართი“

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის, ტექნიკური უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა

1. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის, ტექნიკური უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) განათლება - უმაღლესი განათლება;

ბ) სამუშაო გამოცდილება - საჯარო სამსახურში ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) კომპიუტერული პროგრამები - (MS office Word, Excel, Power Point და Outlook) კარგ დონეზე ცოდნა.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის, ტექნიკური უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
გ) „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი;
დ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილება.